ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N23

22.06.2023 წელი
12:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 22 ივნისს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი) და **ირაკლი ეძგვერაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა**, საკრებულოს წევრები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-0323170122-03, 19.06.2023წ.),*

   მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომა წარიმართა **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიასთან** ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა ადა ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გურამ ოქროპირიძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დადგენილების პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიის სხდომას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, მოგეხსენებათ, რომ სტუდენტთა დაფინანსების წესი რამოდენიმე კომპონენტს მოიცავს, სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსება, მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსის მქონე სტუდენტთა დაფინანსება, შშმ პირთა სტატუსის მქონე სტუდენტთა დაფინანსება, ასევე წარმატებული სტუდენტების დაფინანსების ნაწილი, რომელიც გულისხმობს დაფინანსებას სემესტრულად მაღალი აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით. აღნიშნულ პროცესში თავად უნივერსიტეტები იღებენ მონაწილეობას და წარჩინებულთა ბაზიდან, ქულების გათვალისწინებით ისინი წარადგენენ სტუდენტების სიას. დაფინანსების წესში ორი მიმართულება იყო, ერთი როდესაც სტუდენტს ჰქონდა დავალიანება უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსების ნაწილში და წარმოადგენდა აღნიშნულ დოკუმენტს, უნივერსიტეტის ანგარიშზე ხდებოდა თანხის ჩარიცხვა, ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტისგან სასწავლო დაწესებულებისთვის ჩარიცხული თანხის დაქვითვა არ ხდებოდა, ხოლო როცა დავალიანება არ ჰქონდა სტუდენტს და პირად ანგარიშზე ერიცხებოდა ეს თანხა იბეგრებოდა კანონმდებლობის შესაბამისად. ქალაქ თბილისის მერიის საფინანსო და აუდიტის სამსახურებთან კომუნიკაციის შედეგად, საქალაქო სამსახურმა მიიღო რეკომენდაცია, ყველა წარმატებულ სტუდენტს თანხა ჩაერიცხოს პირად ანგარიშზე, ვინაიდან აღნიშნული თანხა გახლავთ მათი წარმატების შედეგი და ერთგვარი წახალისება. აღნიშნული ჩანაწერის გაუქმება წარმატებული სტუდენტებისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფას ემსახურება.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გურამ ოქროპირიძე - სამართლებრივი ნორმების და მოთხოვნების გათვალისწინება აუცილებელია, კომისიას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქვს რეკომენდაცია, სასურველი იქნება მუნიციპალიტეტმა აიღოს საკუთარ თავზე დასაბეგრი თანხის პროცენტის დაბალანსების ნაწილი, განხორციელდეს პროგრამის ბიუჯეტის ზრდა და სტუდენტს ხელზე ასაღები თანხა, უნივერსიტეტში ჩარიცხულ დაუბეგრავ თანხას გაუთანაბრდეს.

ნინო კვიტაიშვილი - ხომ არ ვიცით სტუდენტები მუნიციპალიტეტისგან ჩარიცხულ თანხას სწავლისთვის მოიხმარენ, თუ პირადი საჭიროებებისთვის. ასევე ბაკალავრების სწავლის წახალისების კუთხით რაიმე ხომ არ იგეგმება?

ირაკლი გვილავა - არ გვაქვს ინფორმაცია ვინ რა მიმართულებით იყენებს პირად ანგარიშზე ჩარიცხულ თანხებს, მაგრამ უნივერსიტეტებთან კომუნიკაციის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იყო შემთხვევები, როცა სტუდენტები ირჩევდნენ სწავლის საფასურის დაფარვას და მოჰქონდათ დავალიანების ცნობა, რადგან ცოტა მეტი თანხა ერიცხებოდათ დაბეგვრის გარეშე უნივერსიტეტის ანგარიშზე. ცვლილებით კი ყველა თანაბარ პირობებში იქნება. რაც შეეხება ბაკალავრებისთვის სწავლის დაფინანსებას აქ წარჩინებული სტუდენტების საკითხი არ მოქმედებს, მაგრამ მოქმედებს სოციალურად დაუცველის, მრავალშვილიანი ოჯახის შვილის და შშმ პირის სტატუსი, ხოლო სტიპენდიის და წახალისების პროგრამები თავად უნივერსიტეტებს და განათლების სამინისტროს აქვს.

ნინო კვიტაიშვილი - ვინაიდან ბაკალავრების დასაქმება ბევრად რთულია, ვიდრე მაგისტრანტების, ჩემი რეკომენდაცია იქნება გავითვალისწინოთ აღნიშნული საკითხი და მაღალი აკადემიური მოსწრების ბაკალავრებზეც მოვახდინოთ წახალისება, ეს არაა დიდი თანხა და მუნიციპალიტეტი მარტივად გაწვდება. ასევე მაინტერესებს მუნიციპალიტეტის და განათლების სამინისტროს სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამებში ხომ არ ხდება დუბლირება?

ირაკლი გვილავა - მუნიციპალიტეტს აქვს პროგრამები სადაც უმოკლეს დროში ახალგაზრდებს შეუძლიათ ახალი უნარების შეძენა და დასაქმება. რაც შეეხება პროგრამის დუბლირებას, განათლების სამინისტროს პროცენტულად სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის დაფინანსებაზე ნაკლები თანხა აქვს, რადგან მთელი ქვეყნის მასშტაბით არის გადანაწილებული და მომართვიანობა დედაქალაქში მცხოვრები სტუდენტებიდან მუნიციპალიტეტში ბევრად მეტია, ვიდრე სამინისტროში. დუბლირების კონტროლიც თავისთავად ხდება.

გურამ ოქროპირიძე - ერთი ტექნიკური ცვლილების საჭიროება გამოიკვეთა აღნიშნული წესის მიხედვით, მეოთხე და მეხუთე მუხლებში ტექნიკური ტერმინები იცვლება - ,,უნივერსიტეტის, ან და სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშის მითითება" უნდა ამოვიღოთ წესიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ნინო კვიტაიშვილი - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ირაკლი ეძგვერაძე (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების

წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამ ოქროპირიძე